



„დმერთო, სამშობლო მტაცხლე, მძინარეც აქხს ვდუდუნებ!“

# კავკასია

პროფესორი, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№3-4 (61-62) პარტი-აპრილი 2012 წელი

შანი 1 ლარი

**ღმერთო, სიხიბეს  
საზღვარი ახა  
აქეს!..**

გვ. 3

**მ უ ც რ —  
მ თ ი ს  
მ თ ნ ო კ უ ლ ტ უ რ ა**

გვ. 5

**აქ ხ რ დ ს  
თ ხ მ ხ რ დ ს  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

გვ. 2



სეკსურეთი, მუცო

## ლამარა ჩინჩალაქი

### თურქეთის სურს, მტკბარი ბაღაბიპიტოს

ო, საქართველო, ჩემო დედაო,  
მწარე სიმართლეს,  
გწუხვარ, გბედავო...  
შენი სხული ტურფა სანუკვი  
სურთ ააფეთქონ... ატყდეს სამუმი  
ო, საქართველო,  
ლამაზო, ტკბილო,  
ცხადად ცრემლო  
და მუფოთვარე ძილო  
ჩელი ბაგშვივით მესათუთები,  
მჯერა მკვდარიც ვერ დაგუბრები!  
მიყვარს ერთიან შვილები შენი,  
ზოგნი შემრცხვენიც,  
არ აღმამშენნი...  
ქართულ ოცნების გმირთა აკვანო,  
სნიფო — სიცოცხლის, მზევ სათაყვანო!



## ირაკლი ვაშაყმაქი

### მრწო, რიწა

უფლის ცრემლი, ორი ცრემლი —  
ამერს ერწო, იმერს რიწა.  
ელაგს ბოროტების ცელი,  
გმინავს მაცხოვარის მიწა.

სისხლი თქეში აკვანით  
გადაირწა — გადმოირწა,  
უფლის ცრემლი — ერწო, რიწა,  
საქართველოს დედამიწა.

მოდის მტერი, სახელს გვარქვეს,  
მონათლულს და სახელაიანს.  
თითქოს გუშინ დაგებადეთ  
თგალი ჯერ არ გაგვხელია.

მოდის ეშმა, თოვლის კაცი  
ეს რა ქარიშხლები ქრიან,  
დედა ხვთისას ნათლული ვარ  
მე ხომ საქართველო მქვია.

## საქართველოს პრეზიდენტს გატონ ვისეილ სანაკაშილს, საქართველოს პრეზიდენტს

როდესაც თუშეთის მთებში ჯიხვებზე  
სანადიროდ წასული და უკვალოდ დაკარგული  
ორი ახალგაზდა ხევსური: გივი ზვიადური  
და ალუდა არღოტელი თევების განმავლობაში  
ვერ ვიპოვეთ, მაშინ ბარისახოს სამართველოს  
უფროსი გივი ლიქოკელი და მთიელთა ერთად-  
ერთი იმედი, უმამაცესი და უკეთილშობილესი  
მფრინავი შამილ ქორთოშიძე ვეტმფრენით  
მთებში გაუჩინარებულ ბიჭებს ეძებდნენ. ეს  
ის ადგილია, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება  
რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას.  
მათი ვეტმფრენით დაკარგულების ძებნა დიდ  
რისკთან იყო დაკავშირებული. ეს ბედკრული  
ბიჭები, პოენისთანავე მათი და სასაზღვრო  
სამსახურების თანამშრომლების დახმარებით,  
მიაბარეს შშობლიურ საქვალეს...

სოფელ სახაბოში გარდაიცვალა იმავე  
ხეობის კარგი ვაჟკაცი, თემ-სოფლის იმედი  
ილო მინდიკაური. დაცარიელებულ სოფელს,  
რომელიც ფაქტობრივად საზღვარს ამარგებს,  
რა უნდა ექნა? აქაც ჩვენი მიწის შვილი  
სასაზღვრო ჯარის ახალგაზრდები დაგვეხ-  
მარნენ და ეს კაი ყმა მიწას მივაბარეთ.

ამ მცირე ჩამონათვალთ იმის თქმა გვინდა,  
რომ ადგილის დედას ადგილის მწვეარი უნდა,  
რათა ხევის, ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთ-  
გუდამაყრის, თუშეთის მთების სოფლებში, რომ-  
ლებიც დაცარიელების პირზე არიან, ყველაზე  
დიდ ნუგუმს მესაზღვრებესა და მფრინავ —  
შამილ ქორთოშიძეზე ხედავენ.

მთიელთა ცხოვრება, განსაკუთრებით  
ზამთრის პერიოდში, გმირობის ტოლფასია,  
მათ მეტი თანადგომა და ყურადღება სჭირ-  
დება. ისიც სათქმელია, რომ არხოტას (ასას)  
ხეობაში, რომელიც ინგუშეთს ესაზღვრება,  
ხუთიოდე კომლიდა შემორჩა. გზა რომიდან —  
არხოტამდე დღემდე არ არის გაყვანილი, არადა  
უკვე რამდენჯერ ითქვა გაზეთ „საქართველოს  
რესპუბლიკასა“ და „კავკასიაში“ გამოქვეყნებ-  
ულ წერილებში, ამ საქმეს არადა არ დაადგა  
საშეფი... იქაურები ცხენებზე ბარგაკიდე-  
ბულები ეზიდებიან სარჩოს, სურსათ — სანო-  
ვაგებს, ღმერთმა დაგვიფაროს და ამ ძირძველ  
ტერიტორიაზე თუ რომიდან სამანქანე გზა  
გადავიდა, რუსეთი დეპარტონება.

ჩვენ, მთის ყოველი მობინადრე ძალზე  
გულდაწყვეტილები, და აღშოთებულნი ვართ,  
დღემდე ვერ გავრკვეულვართ, რისთვის გათა-  
ვისუფლდა თავდაცვის სამინისტროს საავიაციო  
სამსახურის უფროსის თანამდებობიდან ჩვენი  
ქვეყნის საამაყო შვილი და მთიელთა ერთად-  
ერთი იმედი — შამილ ქორთოშიძე.

ჩვენი წინაპრები ბუნებრივად მესაზღვრეები  
იყვნენ, ჩვენც ერთგულად ვემსახურებით და  
ვიცაეთ სამშობლოს, ჩვენს მამულს და სადაც  
ჩვენ ქვეყანას ვჭირდებით, მუდამ იქ ვლავაროთ!...

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად  
ვთხოვთ, დაგვიბრუნეთ იმავე სამსახურში  
ჩვენი მთების მობინადრეთა და არა მარტო  
მათი, სრულიად საქართველოს ლეგენდარული  
მფრინავი შამილ ქორთოშიძე.


საქართველოს მთიანეთის ბინადართა  
სახელით

**მურღვა არღოტელი  
პოეტი, საქართველოს მწერალთა  
კავშირის წევრი.**

# თქვენ და ჩვენს შორის საქართველო

პატარა ვიყავი, როცა ბებია ყოველ დღე სახლიდან გამომიყვანდა და შირაქის ქედებთან ალაზნის ჭალებს გადმომახელებდა... კავკასიონის ქვეშ გაბეჭდილი სილამაზე იპყრობდა პატარა ფშაველი ქალის გულს, რომლის წინაპრებიც ერთ დროს მთებიდან აყრილან და ამ მიწაზე დასახლდნენ. გაფაციცებით ვუსმენდი ბებიას მონათესავე ამბებს პერეთზე, იმ საქართველოზე, რომელიც მდინარის იქით იყო... და ზღაპარი მეგონა... „აბა, სად არის ბები თამარის ხიდი, შენ რომ მიყვები? სად ცხოვრობდნენ ქართველები? იქ, სულ დიდი ხეები რომ ჩანს? ბები, რა ახლოს არის მთები, ერთი ნაბიჯი და იქ ხარ, ხო ბები?... სულ ვეკითხებოდი ერთი და იგივეს და პასუხი მწარე იყო: არა, შეილო, ეგ მთები და ველები ჩვენი აღარ არის...“

ასე იქცა პერეთი ჩემს გულში აუხდენელ ოცნებად, რომელსაც თამარის საქართველო ერქვა. მეგონა, ვერასდროს ვნახავდი იმას, რასაც ბებია მიყვებოდა, მაგრამ ეს დღეც დადგა...



ებამდე ერთმანეთს ენაცვლებოდა სისხრული და სევდა... ერთნი ვიყავით! ერთი გენის და სისხლის ხალხი! მონატრების და განშორების ცრემლებს ვეღარავინ იკავებდა. გრძნობები აირია, ტკივილი, სიყვარული, წუხილი, მარტობა, სიმორე, უძწეობა, ბრძოლა, რწმენა, ისტორია, მტერი, უიმედობა და ბოლოს მაინც იმედი!!! წყლიანი თვალებით მაინც ვცეკვავდი და ვმღეროდი ქართულად!

ქალბატონი ინეზა ექიმი, ის არის ქართველი ქალის ეტალონი. მას მთელი რაიონი იცნობს, მხსნელი და მშველელია ავადმყოფთა და უძღურთ! მის ჭიშკარზე ვგვრებიან გამოსახული, რათა ყველამ დაინახოს, რომ აქ ქართველი ცხოვრობს, მართლმადიდებელი ოჯახი! მას არ ეშინია იმ ძაღლების, რომლებიც ცდილობენ, ამოიბრკვონ ქართული მიწიდან ჩვენი ქართველობა. იბრძვის ყოველ წამს, ყოველ სიტყვაში, ქცევაში სამშობლოს დასაცავად! როდესაც ჩვენ საქართველოს საღვთველს ვსვამთ მთელი სიღრმი-

სული სიყვარულით, ამ გმირი ქლის გული იმაზე ღრმად სწვდება, გვისვამს შეკითხვას, მარტო იქ მყოფთ კი არა მთელ საქართველოს: „აბა, მოდი და იქართველე შენ, მე ვიშოვი მიწას, დამიდექი გვერდით და ერთად ვიქართველოთ. გინდა?!“ სუნთქვა გვიკვრება, ვგრძნობთ დანაშაულს... ჩვენ პერეთი და ვიფიქრებ და რომ არა ჩვენი მადლიანი უწმინდესისა და უნეტარების საქართველოს პატრიარქის ილა მეორეს მეოხება, ალბათ დღეს არც კი გვეცოდინებოდა, სად არის პერეთი!

დღეს საინგლოში ცხოვრობს 8 ათასამდე ქართველი; 800 კომლი ალბანელები და დაახლოებით 200 ალა-თემურნი. ყველა ქართულ სოფელში ეკლესია და ქართული სკოლა. მოსახლეობასთან საუბარში გავარკვევით, რომ დახმარებას და მხარში დგომას მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მხრიდან იღებენ.

ივერ ტარტარაშვილი ინეზა ექიმის ძმაა, 37 წლის პერი ვაჟაკი, რომელიც უკან არაფერზე იხევეს. მან გვიამბო, რომ ალა-თემურში არის

VIII საუკუნის სამების ეკლესია, დაუკავშირდა საქართველოს, რომ იგი თავისი სახსრებით და ფინანსებით აღადგენდა ტაძარს, თანხმობაც მიიღო, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ მისცა გასაქანი, ივერი მაინც არ წყვეტს ბრძოლას ტაძრის მისახედად. იგი გულისტკივლით გვიყვებოდა, რომ აზერბაიჯანელები მათ აგრესიულად ექცევიან, ზღუდავენ და ახშობენ ყველაფერ ქართულს და ცდილობენ, ქართულ სოფლებში იყიდონ მიწები, რომ საბოლოოდ დაგვაშორონ ერთმანეთს. მაგრამ თურმე არც ერთი ქართველი არ ყიდის მიწას, სულ რომ შიმშილით მოკვდეს. ერთ მუშტად შეკრულები ცხოვრობენ პერეთი. ივერიმ სიმწრით თქვა: თქვენ არ იცით, ვინ ვართ ჩვენ, რატომ არ იცით ჩვენს შესახებ? ყველას ვთხოვთ, იფიქროთ სამშობლოზე და არა თქვენ თავზე! ცხოვრება აქ არის, ცხოვრება თუ გინდა, ეს არის საქართველო! ამხელა ვაჟაკი ცრემლებს ვეღარ იკავებდა... აღარ შეგვეძლო ჩვენც, უკვე აღარავინ მალავდა ცრემლიან თვალებს.

უთქმელად ვგრძნობდი ყველა ტკივილს და იმ აუტანელ დამცირებას, რასაც პერეთი ებრძოდნენ... მათში შემორჩენილია ის ქართული სული და ტრადიციები, რომელიც ჩვენთან დაკარგულია.

6 მაისს, გიორგობის დღია გათენდა პერეთში... მთელი სოფელი მიემართება წმინდა გიორგის ეკლესიისკენ, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს ალაზნის ველებს. ტაძრისკენ მიმავალ ბლიკზე ფეხშიშველი ქრისტიანი და მუსულმანი მხარდამხარ მიდიან... დაილოცოს, რა ძალა აქვს, რომ მის წინაშე მოლაყ კი ვედრებით მიდის... არც კი ამოგვისუნთქია, სულ ქართული სიმღერით და გალობით ავიართ იღმართი. ტაძრის კარებთან რეგია... „ქრისტე აღსდგა“ დავეძმეთ და უცებ საკურთხევის წინ აღმოჩნდით... სანამ მეუფე მობრძანდებოდა, ვგალობდით და არ გამოვდიოდით ეკლესიიდან... იქვე უხარმაზარი ქება, საიდანაც შესანიშნავი ტაძრის ხედი ჩანს. ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარს აზერბაიჯანულად და ინგლისურად აწერია, რომ ის არის ალბანური ეკლესია. ამ ფაქტმა გული ჩაგვწყვიტა, მაგრამ

არ დავიხიეთ უკან და იქ ავედით ყველა, ხალხი აღარ გვეშვებოდა, ჩვენი უნდოდათ ყოფნა, გვეფერებოდნენ, გვიღობოდნენ და კიდევ იმდერეთო, გვეუბნებოდნენ! ჩვენც ვცეკვავდით და ვმღეროდით. ერთი აღუწერელი სიხარული ტრიალებდა მაშინ, როცა ვმღეროდით „აღაღეს“. ხშირად ვიმეორებდით: „ჩემო ღამაზე სამშობლო, შენ კი გენაცვალე“, „წმინდა გიორგი დაგლოცავს ალაღმართალი შეღოსო, კურთხეულ მოწას გართმევნ მარიამ წმინდანიხო“.

პერეთის მეუფე მობრძანდა და პარაკლისი გადავიხადეთ. იცით, რა სანახავი იყო ეკლესიის შეეთურებულ და დარღვეულ საკურთხეველში ჩვენი ღოცვა... ისეთი ძალა და სიყვარული ტრიალებდა, რომ მეუფის შეძახილზე – „ქრისტე, აღსდგა!“ თითქოს კედლებმაც დაიგუგუნა: „ჭეშმარიტად!“

ეკლესიის ქვემოთ ჭალაზე მოწყობილი იყო საჭიდაო ადგილი დაყრილი ნახერხით. მამლუქების ბრძოლას მოგაგონებდათ ეს ყველაფერი. შეგვკარით დიდ წრე და ჩვენმა ანსამბლმა ჩაატარა კონცერტი, მუხლებზე დადებული დოლი, გარმონის ხმა, სალამურის სტვენა და ფანდურზე აცეკვებული ქართველების ღხინი ცას სწვებოდა... ისმოდა კახური „მრავალჟამიერი“, გურული „კრიმანჭული“, აჭარული „ნანაიდა“, სვანური „ფერხული“, მთის სიმღერა და ფშავური ცეკვა!

წამოსვლაზე არავინ ფიქრობდა... პერეთის სტუმარ-მასპინძლობა დაგვაიწყა ყველაფერი... მაგრამ რამდენიმე საათში უკვე საზღვარზე ვიყავით, ხილზე ვიდევით, რომელიც საქართველოს ყოფს აზერბაიჯანისგან, ანუ კახეთს პერეთისგან... ყველა ჩაფიქრებული იყო... ხელა ეს ყველაფერი, რაც გადაგვხვდა, ვის მოუყვებო, ვინ დაიჯერებდა... უცებ ქარი ამოვარდა, წვიმის წვეთები დაგვეცა და დავეინახეთ სასწაული სილამაზე, ბუნების ამოუცნობი მოვლენა – ცისარტყელა, რომელიც თავს გადაგვლებოდა და ერთი ფენი კახეთს ჩადგა, მეორე კი პერეთს...

P.S. 6 მაისს მონსტრად მართი უჩვეულო მოვლენა. მას შემდეგ, რაც სამართიველში კმრმითი დაპარება, ვმინდა ბიორგის შურისხილის მძლავრ სიკვამლეში აღარავინ დაუშვარია ჯვარი. ახლა კი, მშუფი მძლავრ სიკვამლის კურთხევით, ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოვჩნდით დიდი ფშაველი ფეხილი დაიფინდა. აცრემლავალი ხალხი მრთამანით ულოცავდა ამ სიხარულს.

ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ საქართველო გაბრწყინდება!

ბელა ხუმარაშვილი

## სასკელი წყალი – ახეთის „აქილევსის კუსლი“

როცა სასკელი წყლის პრობლემაზე ვსაუბრობთ (არადა, ამ თემაზე თითქმის ყოველწლიურად, თანაც წელიწადში არაერთგზის გვიხდება საუბარი), უხერხულობის ერთგვარი განცდა გვეუფლება. ქალაქს, რომელიც სამი მოზრდილი მდინარის (ალაზანი, ილტო, ორვილი) აუზში მდებარეობს, წყლის პრობლემა ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს?!

თუმცა ფაქტები ისეთი ჯიუტია, მათთან ვერაფერს ვაწყობ და ვერც „საქმეს ჩააწყობ“.

ქალაქ ახეთის სასკელი წყლის პრობლემა 2000 წლამდეც ჰქონდა და მას მერც, მაგრამ შარშან და წელს, რაც ამ მიმართულებით ხდება, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ უმწვავეს პრობლემის ეტაპობრივ დარეგულირებას მარტო ბოლო ორ წელიწადში მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა, პრობლემა კი მაინც პრობლემად დარჩა. ამიტომაც არის, რომ ქალაქის მოსახლეობა სერიოზულ გულისწყრომას გამოთქვამს ამ ფაქტის გამო.

... შარშანწინ (2010 წელს) გვამშვიდებდნენ შპს „ახმეტის კომუნალურ გაერთიანებას“, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ჩაენაცვლა და წყალთან დაკავშირებით ყველა პრობლემა ეტაპობრივად მოიხსნებოდა!!! დავიჯერეთ... გამოხდა ხანი და, რომ იტყვიან „ვინ გავყვარეთ და უის შევეყვართ“.

„ქალაქის შიდა ქსელებია გა-

მოსაცვლელი, ერთ დაზიანებულ მონაკვეთს რომ აღვადგენთ, ახლა სხვაგან იჩენს თავსო“, – თავის მართლებას ცდილობენ შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები.

კი მაგრამ, ჩვენ რაღა ვქნათ? როდესაც ის სამსახური ჩვენი მუნციპალიტეტის დაქვემდებარებაში იყო, საქმეც ბევრად უკეთესად იყო აწყობილი, სადმე რაიმე დაზიანება რომ იჩენდა თავს, ღამე თუთრად გაათენებდნენ და მეორე დღეს წყლის მიწოდებას აღადგენდნენ – „ყველა წვრილმანზე თელავში გვიწევს სირბილი, ადგილზე ვერანაირ პრობლემას ვერ ვწყვეტთ!“ – გვეუბნებიან ამ სამსახურში რიგით თანამშრომლებად დასაქმებული ჩვენი თანაქალაქელები და კატეგორიულად მოითხოვენ ჩვენი ქალაქის (და არა მარტო ქალაქის) კომუნალური

საკითხების მოგვარებზე მეზობელმა რაიონმა კი არა, ადგილობრივმა მმართველობამ იზრუნოს, რადგან ამგვარი პრობლემების სიმძიმე უშუალოდ მათი ოჯახების გადასატანია. ისე ნურავინ გავგვიგებს, ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგნი ვიყოთ, არამც და არამც, სწორედ ის გვინდა, რომ ხელისუფლებას მივაწვდინოთ ვითარება, რომ სხვათა იმედზე ყოფნა ხელს არ გვაძლევს, ჩვენს პრობლემას ჩვენვე უნდა მივხედოთ და 24 კილომეტრზე არ უნდა გვიწევდეს სირბილი – არიქა, მოგვხედეთო!... – ამბობენ ჟალურელები, უტოლები, სათიანოელები და რუსთაველის ქუჩის მაცხოვრებლები. ფაქტობრივად მთელი ქალაქი.

– არ გვინდა ეს საკითხი

სამიტინგო თემად ვაქციოთ. მიტინგებით პრობლემების მოგვარებას ჩვეულნი არა ვართ, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი, მითუმეტეს, როცა 2011 წელს, როგორც პრეზიდენტი შეგვიპირდა, მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა უნდა მოხსნოდა?! წყლის მომხმარებლები ჩვენ ვართ და ალბათ ჩვენი საერთო აზრი (გნებავთ წინადადება) გასათვალისწინებელია, რადგან ნამდვილად შეგვეწვეს უნარი შედარების გაკეთებას, საქმის მიდგომა რომელი ვარიანტით არის უკეთესი და შედეგანი. – განუცხადეს საინფორმაციო ცენტრს სასმელი წყლის პრობლემაზე შეწუხებულმა ახმეტელებმა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ახმეტაში სტუმრობის დროს.


ომარ მარუაშვილი

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ქალაქ ჯვარში

აღდგომას, როგორც ყველა ქრისტიანული ეკლესია, ოჭანეს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი და წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარიც ტრადიციულად ღამისთევის მსახურებით შეხვდა, რომელიც სავესე იყო მორწმუნე მრევლით, უფრო მეტად ჭარბობდა ახალგაზრდობა.

ოჭანე წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარის ერთ-ერთი უბანია და მდებარეობს იმ გორაკის მახლობლად, სადაც გადმოცემის თანახმად წმ. ანდრია პირველწოდებულს პირველი საიკუნის დასაწყისში ქრისტიანული ჯვარი აღუმართავს.

2011 წლის 30 მაისს გაიხსნა წმ. ნინოს დედათა მონასტერი, 1 ივნისს კი წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესიაში მუფე გერასიმეს ლოცვა-კურთხევით პირველი წირვა დააყენა დეკანოზმა ანდრეამ (მარ-ღანია). ამჟამად ტაძარში მსახურობს



მღვდელი პავლე (გოგონია). 2012 წლის 15 აპრილს ეკლესიაში პირველად აღინიშნა აღდგომის

დღესასწაული. წმ. ნინოს დედათა მონასტერში მორჩილი ქალები დიდი რუღუნებით და საოცარი სიყვარუ-

ლით ემსახურებიან უფალს. დღეები ცდილობენ თავიანთ უმთავრეს საქმეს – ლოცვას შეუთავსონ უამრავი კეთილი საქმეები. ისინი ამზადებენ წმინდა საეკლესიო საწარმოებს და სხვა. დღეებმა უფლის სადიდებლად ლოცვა ადავლინეს.

ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი მუფე გერასიმე მონასტრის სულიერ ცხოვრებას უძღვება და ცხადია, ხშირად მობრძანდება მონასტერში.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლეულს ლაზარეს შაბათს მუფე გერასიმეს ლოცვა-კურთხევით და მისი ხელდასმით ამ მონასტერში აღსრულდა მონაზვნად აღკვეცის პირველი ცერემონიალი.

ეკლესიას თავზე დაპყრებს მთაზე აღმართული მონასტრის ჯვარი, რომელიც ხალხს უფლისაგან მოუხმობს. მონასტერში დაბრძანებულია სიწმინდეები: იერუსალიმიდან, ლუარა ჭანტუში.

ტაო-კლარჯეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან.

ყველა აღდგომის დღესასწაულით ხარობდა, მაგრამ ორმაგი იყო სიხარული მეცნატ ლევან მატუასი, რომლის ძალისხმევით და მონღო-მეობით აშენდა სამონასტრო კომპლექსი და აღსდგა ქრისტიანობის ახალი კერა ჯვარში. მონასტრის ყველა ლოცვაში შემავლენილი და აქედან აღვლენილი ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს, ადგილობრივ მღვდელ-მთავარს მუფე გერასიმეს, მონასტერში მსახურთ და მთელ საქრისტიანოს.

უფალმა დალოცოს ყველა ქრისტიანი და უფლის მადიდებელი კეთილისმყოფელი ადამიანი.

ლუარა ჭანტუში.

რმეხით, სიხახბეს საზრცხი ახა აქვს!..

ეს ადგილი შესასვენებელია თუმი მეცხვარეებისთვისაც. თუშთა ბარის სოფლებში: ზემო და ქვემო ალვანებში, ნაწილობრივ კი ლალისფურში, (სადაც ერთ მხარეს თუშები სახლობენ, ხოლო მდინარე სტორის მხარეს კი კახელები), აქაური თუშები ზამთრობით ბარში – შირაქის საძოვრებზე აზამთრებენ, გაზაფხულიდან დაწყებული თუშეთში მიგრაციას. ზოგიერთები კი ცხვარს სხვისურეთის საძოვრებზე „მიღალავენ“...

ჩვენი წარსულიდან, მამა-პაპიდან, ფშაველში მოსახლეობას თითო-ორ-ო-ლა სულის გარდა ცხვრის ფარები არ ჰყავდა. კომუნისტური რეჟიმის დროს, აქ ცხვრის ფარების ყოლა იკრძალებოდა.

დღეისათვის ლალისფურელებმა

სოფელი ფშაველი კავკასიონის მთების ძირში მდებარეობს, თუშეთისკენ მიმავალ გზის დასაწყისთან – მდინარე სტორის და მდინარე ჭიჭაკის სანაპიროზე. წელიწადის ყველა დროს ეს სოფელი თვალწარმტაცია თუნდაც უბედულესი კულტურის ძეგლების სიმრავლით. ლამაზია მაშინაც, როცა აქედან მიდამოს ცხვრის ფარები შეესევინ ხოლმე... მერე კი თუშეთში ზაფხულის საძოვრებისაკენ მიედინებიან.

ამყოფებენ და ცხვრის გადავილი საძოვარს მსხვილფეხა საქონელი აღარ ეკარება.

მოსახლეობის მსხვილფეხა პირუტყვისათვის ასევე პრობლემაა ქმნის როგორც დაავადებების გავრცელების ალბათობა, ასევე საკვების უქონლობა. ამისათვის საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს, რის გამოც მოსახლეობა ზარალდება. იქნებ როგორმე მოხდეს გამოჯენა, რომ ცხვრის ფარებისათვის ცალკე იყოს ს აძოვარი და მსხვილფეხა რქოსანისათვის ცალკე, რომ არავინ დაზარალდეს.

სხვა არ უნდა დაზარალდეს, საწყალი და უპატრონი ოჯახები ყოველთვის დაჩაგრულები რჩებიან, მათაც ხომ უნდათ არსებობა!..

ხანდახან რაღაც ლუკმას გადმოგვიდებენ, რომ მერე გამოვიყვანოთ რაიმეში, თუნდაც არჩვენების დროს. ეს არის სამართალი?... ხალხის აზრი და პრობლემები კი არავის აინტერესებს.

მინდა მჯეროდეს, რომ ასე აღარ იქნება, ჩვენსკენაც სიკეთით გამოიხედავენ და სამართლიანად გადავიწყვეტენ ჩვენთვის უპირველესად მნიშვნელოვან და ამ რთულ პრობლემას.

ახლა უკვე გაზაფხულდა, საცაა დაიწყება ფარების გადმოღენა შირაქის საზამთრო საძოვრებიდან და ჩვენი ეს მარადიული პრობლემა, ისევ პრობლემად დარჩება.

რა უნდა ვქნათ მოსახლეობამ, არ ვიცით!..

წევრ ამ ტკივილიან წერილს იმის იმედად, რომ ეგებ ვინმემ, რაიონულმა თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელმა, ვისაც ხელეწიფება და სიტყვა ეთქმის და ამ ურთულესი პრობლემის მოგვარება შეუძლია, გულთან ახლოს მიიტანოს ჩვენი გასაკვირი და იჯარის სახით დაგვიკანონდეს სტორის გადაღმა ტყის პირა ადგილებში და აღდგეს კანონზომიერება.

მოსახლეობის სახელით

ცირა ხასანიას თელავის რაიონი, სოფელი ფშაველი.

რამდამცინის მიწაფშარი

იმედია თელავის რაიონის თავაკები და საერთოდ კახეთის რეგიონის გულისხმიერი გუბერნატორი ბატონი გიორგი დვინიაშვილი გულთან მიიტანს ხალხის ამ საწყურს, რომელიც მრავალი წელია, აწუხებს მოსახლეობას და დაეხმარება ამ ურთულესი პრობლემის მოგვარებაში. მივიშველიებთ დიდი ილიას ფრაზებს:

„კაცად მაშინ ხარ საქები,

თუ ეს წესი წესად დარევი;

ყოველ დღესა შენ თავს ჰკითხო,

აბა, დღეს მე ვის რა ვარევი.“

გაზეთ „კავკასიის“ შურონალიტიპი.

მეგობრებო უფლებების დაცვის განუწყობი



126 წლის წინ, ქ. ჩიკაგოში, მძლავრი საპროტესტო აქცია გაიმართა. ათათასობით მშრომელი ადამიანი ქუჩაში გამოვიდა და რასათიანი საბუშო დღის შემოღება მოითხოვა. მშრომელების მიერ მოწყობილ მიტინგს, დასაქმებულთა უამრავი უდანაშაულო მსხვერპლი მოჰყვა.

სწორედ ამ დღის აღსანიშნავად მსოფლიო პროფკავშირებმა 1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ გამოაცხადა და მთელ რიგ ქვეყნებში დირსეულად პროფესიული კავშირების თაოსნობით აღინიშნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თარიღს, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს მიაგეს პატივი ჩვენმა თანამემამულეებმა. იმის გამო, რომ ქალაქის ფანდარმერია მკაცრად კრძალავდა ყოველგვარ შეკრებებსა და მანიფესტაციებს საპროფკავშირო შეკრებები ქალაქგარეთ იმართებოდა /ავტალაში და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე/ ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის ფაშს /1918 – 1919 წ./ მშრომელთა დღე ქალაქის ცენტრში გაიმართა და მას უამრავი ადამიანი დაესწრო.

გასაბჭოების დღიდან ეს თარიღი მკვეთრად შეცვლილი შინაარსითა და ფორმით ყოველწელიწადს იმართებოდა. /მანიფესტაციების დროს მშრომელთა უფლებების დარღვევის, ხელფასების გაზრდის ან სხვა სოციალური მოთხოვნები იკრძალებოდა/ თუმც, ეს დღე საბჭოეთში გამოსასვლელ დღედ იყო გამოცხადებული.


დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, კერძოდ, 2001 წლიდან ეს დღე სისტემატურად აღინიშნება, სადაც პროფესიული კავშირები მთავრობისა და ხელისუფლებისგან

იმ აქტუალური საკითხების მოგვარებას საჯაროდ მოითხოვენ, რომელიც მშრომელთა უფლებების დაცვის ინტერესებშია თავმოყრილი. ასე იყო 2012 წლის პირველ მაისსაც. დღის 4 საათზე „ვარდების მოედანზე“ 7 ათასზე მეტმა დასაქმებულმა მოიყარა თავი და რუსთაველის გამზირზე დემონსტრაცია პარლამენტის შენობამდე მოაწყო.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილმა ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის შესრულება მოითხოვა, რომელიც დასაქმებულთა და მოსახლეობის საერთო ინტერესებში შედის. მრავალ ლოზუნგს, პლაკატსა და ტრანსფარანტებს შორის ასეთი სლოგანიც იყო: „ვეებთ-სამართალს“, „ვეებთ ტელევიზიით ნაჩვენებ საქართველოს“, „სამედიცინო დაზღვევა ყველა სტუდენტს“, „ვითხოვთ უმუშევრობის შემწეობის დაწესებას“ და ა. შ.

იმავე დღეს პროფკავშირებმა პარლამენტში /თითოეული წევრი-სათვის/ ის ინიციატივები შეიტანა, რომელიც 2007 – 2012 წლებში ხელმოწერებით იქნა დადასტურებული.

მერაბ შიდილაური



და ფშავლის მოსახლეობამ საკმაოდ ბევრი ცხვარი გაიჩინა. ზოგიერთს სამას-ოთხასამდე სული ცხვარი ჰყავს. მთლიანობაში, ერთი ჯგუფი ათას სულამდე ცხვარს აქვე აძოვებს. ყოველივე ეს კი ფშავლის მთლიან მოსახლეობას პრობლემას უქმნის, რომელთაც მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გასადგარი აღარ რჩება, მოსახლეობის საქონელს ცხვარი ერთ ღერ ბალახსაც კი არ უტოვებს. სადაც ცხვარი ფეხს დადგავს, იქ ბალახს მიწის პირამდე „პარსავს“ ცხვარი და მსხვილფეხა რქოსან საქონელს საძოვარში აღარ რჩება, რქეს არ იძლევა და ძროხები კარიატურებს ემსგავსებიან.

სოფელ ფშავლის ტერიტორიაზე თუმი მწყემსები ზოგჯერ თვებით ან უფრო დიდხანს ბანაკებიან მდინარე სტორის ორივე მხრიდან ადგილობრივ საძოვრებს ისინი იყენებენ.

პრობლემა იმაშიც არის, რომ თავად ფშავლის მოსახლეობის ერთი ნაწილის საკუთრებაში არსებულ ცხვარს ზამთარ-ზაფხულს სოფელში

"წვიმდა და თბილისს ეზურა თალხი, დუმდა ქაშუთი და დუმდა ხალხი..."



განათლება-ნაკითხობაზე ოდნავი პრეტენზიის მქონე მკითხველი, უმალ მიხვდება, რომ წინამდებარე წერილის სათაური, ერთ-ერთი ცისფერყანწული პოეტისა და დიდი ქართველის კოლაუ ნადირაძის სკანდალურად ცნობილი ლექსის პერიფრაზია...

რა შუაშია ეს ყველაფერი წინამდებარე წერილთან მიმართებით? სამწუხაროდ, რომ იტყვიან, შუაში კი არა, თავშია. რის დასტურადაც ხსენებული ლექსის ნაწევრებს მოვიყვან, ყოველგვარი პერიფრაზის გარეშე: „თოვდა და თბილისს ეზურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი. თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოდიოდა სიკვდილი ცელით“...

გაგებით – თეთრ ცხენზე მჯდომი სიკვდილი“ 1921 წლის თებერვალში შემოსული ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმია კი არა, ან 1956 წლის 9 მარტს, ე. წ. „ვასპოი პოლიკი“ და 1989 წლის 9 აპრილის, ალესილინჩებთან საბჭოთა „სპეცნაზი“ კი არა, ჩვენი მეგობარი ამერიკელების მიერ, ნატოს „დემოკრატიული სტანდარტებით“ ეკიპირებულ-გაწვრთნილი, საკუთარ ხალხზე დაგეშული, ქართული სპეცნაზი თესდა სიკვდილს რუსთაველზე 2011 წლის 26 მაისს.

მხოლოდ 2 საათის (!!!) შემდეგ განახუნეს ტაძრის კარნი. დღეს, როდესაც მთელი ქართული საზოგადოება აღშფოთებულია მომხდარით, არანაკლებ გაკვირებული და იმედგაცრუებულია ე.წ. დასავლეთის „ლაითი“ რეაქციები მომხდარის გამო. თუმცა, მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ისევ ვთქვათ – საკვირველიც და გაუგებარიც ის უფროა, რომ ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას, ჯერაც არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება მომხდარის გამო. ცალსახა შეფასებას, მკვლევების დასვას და დაპატიმრებულთა განთავისუფლების უპირობო, მკაცრ მოთხოვნას ვგულისხმობ. და არა იმას, რაც გვეხმის ზოგადი, იქნებ ქრისტიანული მორალით გამართლებული, მაგრამ დღევანდელი მკაცრი რეალობიდან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, მაინც ზოგადი ფრაზები: ურთიერთ-მიტყეების, მოყვასის სიყვარულის და ა.შ. რაც სხვა არაფერია, თუ არა მკვლელის და მოკლულისთვის, ერთი საზომით მიხვდა!

დავით მხვიპერაძე „საქართველოს რესპუბლიკა“ 2011 წლის 11 ივნისი


ეგზლეგა – გული



დაიბადა თბილისში. დაამთავრა უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი. ნლების მანძილზე მუშაობდა საყმაწვილო გაზეთ „ნერვის“ რედაქტორად. აღზარდა თაობები, რომელთა შორის გამორჩეულები დღეს ქართულ კულტურას ამშვენებენ. არის საქართველოს ჟურნალისტიკაში შემოქმედებითი კავშირის პასუხისმგებელი მდივანი. მისი პირველი პოეტური კრებული „გაზაფხული უშენობით ცივი“ 2002 წელს გამოიცა.

მარინა! ჩემი ცხოვრების ბოლო წლების ყველაზე დიდი შენაძენი! მადლობა უფალს და იმ გარემოებებს, რომელმაც იგი ჩემს სამეგობრო წრეში შემოიყვანა. ჩვენი ხანმოკლე ურთიერთობის მანძილზე, სწორედ მასწავლებდა უფლის სიტყვები, რომელიც მან ნათანიელის მიმართ თქვა: „აი, ჭეშმარიტი ისრაიელი, რომლის გულში არ არის ზაკა“.

რამდამცინი მინაწერი: გაზეთ „კავკასიის“ სარედაქციო საბჭო მარინე თექლეშანიძეს ულოცავს ახალი პოეტური კრებულის გამოცემას.



მარინა! ჩემი ცხოვრების ბოლო წლების ყველაზე დიდი შენაძენი! მადლობა უფალს და იმ გარემოებებს, რომელმაც იგი ჩემს სამეგობრო წრეში შემოიყვანა.

„ახალი ქართველის“ დარბაზობა

ბრწყინავს დარბაზი... ირბიბი სხივი ჩამოატყდა მდიდრულ სასანთლეს და ბრილიანტის ფარდულებში დაისაგანა... ბრწყინავს დარბაზი... და ერთმანეთს ეჯიბრება ლალი, ალმასი, ამეთევისტო, ოქრო, ზურმუხტი... მიერ კარდენის, კოკო შანელის, ჯანი ვერსაჩეს ფანჩა-ატლასი... ჭკეჭკეს დარბაზი... „როკოს“ ხმაზე როკკენ მბრწყინავი ქალბატონები, მათი ქმრები, საყვარლები და მეგობრები. ბორგავს დარბაზი... და უეცრად ფანჯრებს აწყდება სამშობლოს ჩრდილი — ხელგაწვდილი, მშვიერი ბავშვის სუსტი სხეული... და... ჯოჯოხეთის... სიღამასით... ბრწყინავს... დარბაზი...

დედის გარდა მიერეკავს ყველა: შვილი, ნაცნობი, მეგობარი, წრფელიც, თვალთმაქციც... მე კი თექვსმეტი წელიწადია, ამაოდ ველი ტელეფონში გამოძახებულ მკინფანს ხმას, და ყოველ ზარზე უძველეს იმედს ვებღაუჭები... რეკავს და რეკავს ტელეფონი... მაგრამ ამ სიტყვებს: — დედა ვარ, შვილი! — აღარავინ მეუბნება...

მერ უბეგლევი მე მახსენდება შორი ბავშვობა... გვრთები და თრთიან თეთრი ხელები, არ დამიღონდე, არ დამიღონდე, შენ ვერასოდეს ვერ შეგველევი. ვერ შეგველევი, ისე, ვით ოდეს ვერ შეგველევი მღვრიე იალომს, ვერ შეგველევი, შენს ფიქრთან ერთად სადღაც, ზეცაში ვისეტიყოლო. მერე იქ ცაში გადვიდით ქორწილს, დედამიწაზე რომ არ გვეღიონსა, ციცინათელა, ღამის მნათობი გზას გაგვინათებს ციურ ქვეყნისას. და ქალწულებრივ მიაპიტობით, დღევანდელი დღის გადავიწყებით, აღგვაფრთოვანებს სხივთა მატება და მაყრიონად — გალაქტიკები.

საქართველოს მთის არქიტექტურაში ჯერ კიდევ დაცულია ძველი დასახლებებისთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორებიც ბარში აღარ შემოგვრჩა. კერძოდ, ციტადელითა და გალავნით დაცულ ბარის ქალაქს თუნდაც ძველ თბილისს, შიდა დამცავი სისტემებიც ჰქონდა — საფრთხის დროს ჩიხები იკეტებოდა და მცხოვრებთ ბანიდან ბანზე, აივნიდან აივანზე ისე შეძლოთ გადასვლა, მიწაზე ფეხსაც არ ადგამდნენ. მსგავსი დანიშნულების ნიშნები ჯერ კიდევ შემორჩენილია მთიან რეგიონებში — ხევსურეთსა და თუშეთში.

ძველი ციხე-ქალაქის კარგი მაგალითია მუცოს ციხის კომპლექსი, რომელიც დღეს მიტოვებული ნასოფლარია. არქიტექტორ **სოსო ბანძელაძის** თქმით, ეს არის ტერასებზე აგებული, გამაგრებული დასახლება, სადაც კარგად იკითხება ვიწრო ქუჩების ქსელი და მცირე მოედნები — თავშეყრის ადგილები. ძალიან საინტერესოა გადასასვლელი ხიდები, რაც ნაგებობებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

მართალია, **მუცოს** ქალაქს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ეს მაინც მიკრო-ურბანული დასახლებაა — ერთგვარი პატარა პოლისი. შიდა გეგმარებითი სტრუქტურის გარდა, მუცოს გამაგრებული ციტადელიც ქალაქური არქიტექტურის ნიშანია. გზის პირას მდგარ ხეობის ჩამკეტ თორღვას კოშკს კი, საგარეუდოდ, საბაჟოს ფუნქცია უნდა ჰქონოდა. აქ კავკასიის ქვეყნებისა და კუთხეების დამაკავშირებელი გზა გადიოდა.

მუცოსკენ ერთი ბლიკი ხეობიდან ადის, მეორე კი ჩრდილო-კავკასიიდან გადმოდის. ციხის ორივე მისასვლელი აკლდამებია.

მუცოს ციხის მწვერვალზე, ანუ აკროპოლზე, პატარა მინ-



დორია, რომელიც ბროლის კალოს სახელით არის ცნობილი. აქ არის წმინდა გიორგის სახატე ნიში. იქვე აკლდამა-სამლოცველო, რომელსაც ეთნოგრაფიული გადმოცემით, ბროლის კალოს დარბაზი ჰქვია. ძველი ქართული ტერმინი დარბაზი თანამედროვე პარლამენტს ნიშნავს. ბროლის კალოს საფინჯონზე თემთა საბჭო იკრიბებოდა და ამ ადგილის მნიშვნელობა ტოპონიმმა შემოინახა. დღემდეა შემორჩენილი კლდეში

ნაკვეთი ლოდი-სავარძელი, სადაც ხევისბერი იჯდა. ციტადელში ეკლესიის ნიშნებია. ჩანს საკურთხეველის შემკლავება და ტრაპეზის ქვა. ციტადელი შედგება სამი ციხე-კოშკისაგან. სამკოშკიანი ციხის ფენოქენი მთის საფორთიფიკაციო სისტემებში მნიშვნელოვანია. ანალოგია ბევრგან გვხვდება. მაგალითად, **მურის ციხე ლეჩხუმში ცაგერთან** (გვიანდელი ხალხური გადმოცემით, ამ ციხეებს ჰქვია:

„დაუხვი“, „დაპკარ“, „არ გაუშა“). **სვანეთში ჩაუშის ციტადელი, თუშეთში კესლოს, გირევისა და ინდურთის ციხეები და სხვა.** **მუცოს სასახლარზე ორი უბანია — შეთეკაურებისა და დათურების.** ორივე უბანს თითო კოშკი იცავდა. ზედა კოშკი შეთეკაურებისაა, ქვედა — დათურების. **მუცოში ცხოვრობდნენ, აგრეთვე, ნაცაურები, კინჭარაულები და ბორჩაშეილები.** ხევსურთა ძირითადი საქმიანობა

მესაქონლეობა, ხელოსნობა და ნადირობა იყო. მთაში ფეოდალური იერარქია არ არსებობდა, ამიტომ სამხედრო საქმე ყველას ეხებოდა.

დღესდღეობით **მუცოში სულ ექვსი კოშკია.** ამთვან, შეთეკაურებისა მეტად ავაროულია. ციტადელის შუა კოშკი დანგრეულია, ხოლო შეთეკაურების უბანში კოშკის კვალი თითქმის წაშლილია. **მუცოში 25 ციხესახლია,** სახურავი არც ერთს აღარ შემორჩა. ბევრი ძლიერ დაზიანებულია. ნაწილი ჩაშლილია, გაწმენდის შემდეგ მოსალოდნელია სხვა ციხე-სახლთა ნაშთების აღმოჩენაც.

ქართველმა არქიტექტორებმა და რესტავრატორებმა მუცოს უნიკალური კომპლექსის აღდგენა გადაწყვიტეს, რასაც **არა მხოლოდ კულტურული დატვირთვა ექნება, არამედ ხევსურეთში ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.**

2004 წელს მუცოში კომპანია „არისისა“ და „თ ჩ ბანკის“ მხარდაჭერით, მასშტაბური ექსპედიცია მოეწყო. ჩატარდა ფერადი ფოტოფიქსაცია და კინოგადაღება. დასრულდა 1989 წელს დაწყებული აზომა.

მუცოს რესტავრაცია — რეკონსტრუქციისა და რეგენერაციის საკითხთან დაკავშირებით, ქართველმა რესტავრატორებმა უცხოურ ფონდებსაც მიმართეს. პროექტის ხელმძღვანელმა, **სოსო ბანძელაძემ** და წარმომხმობით მუცოელმა, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა **პაატა შეთეკაურმა** პროექტი მსოფლიო ძველთა დაცვის ფონდებსაც გაუგზავნეს.

მუცო მხოლოდ ქვის კედლები არ არის. ეს კლონორტული ეთნოკულტურაა. აქ უნდა დაბრუნდნენ ხევსურები, აღადგინონ ძველი ტრადიციები და გაახალისონ ცხოვრება მასპინძლებმაც და ტურისტებმაც.

**ბელა ჩიკურიშვილი.**

— **ლეგენდა წყაროებზე** —

მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც დღეისათვისა გადმოგვცემს, კიდევ უფრო გახშირებულია მტერთა შემოსევა აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში. ამ პერიოდისათვის, ახმეტეიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით იმ ადგილებში, სადაც შარშან კულტურისა და დასვენების სკვერი გაკეთდა, მონრდილი სოფელი ყოფილა. სოფელს თურმე ორივე მხრიდან ცივი წყაროები ჩამოუდოდა.

სოფლის მარცხენა მხარეს მცხოვრებ **გოგონას ლელა** რქმევია, მარჯვენა მხარეს მცხოვრებ **ვაჟს კი — ლაშა.**

გოგონა ადგილობრივი დიდგვაროვანი მემამულის ერთადერთი

შვილი ყოფილა. მათ სოფლის თავში, საგვარეულო ციხე-კოშკში უცხოვრიათ, რომელსაც კბილებამდე შეიარაღებული მეციხოვნენი იცავდნენ თურმე.

„ — ჩემი სასიძო აუცილებლად შეძლებული დიდგვაროვანის შვილი უნდა იყოს, მდაბიოსა და უქონელზე შვილს როგორ გავათხოვებო?“ — უთქვამს მრავალ ბრძოლაგამოვლილ და მძიმე ჭრილობებით სარეცელს მიჯაჭვულ მამამისს, როცა თავის შვილისა და ღარიბი ოჯახის ვაჟის სიყვარულის ამბავი შეუტყვია.

მისი ასული თურმე ასე არ ფიქრობდა, „ — ან ლაშა, ან არაინ“ — უთქვამს მამამისისთვის. განრისხებულ მამას მეთვალყურეები მიუჩნია

შვილისთვის, „ — არ დაუშვათ, იმ ღარიბ-ღატაკს შეხვდესო!“.

ამიტომაც იყო, რომ ქალ-ვაჟი საიდუმლოდ ხან ერთ წყაროს სათავესთან ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხან მეორესთან. ორივე წყაროს სათავე ეკალ-ბარდით იყო დაფარული.

სწორედ ეს წყაროები იყვნენ მათი ერთადერთი შესაიდუმლენი. ერთ დღეს სოფელში მეფის მაცნე მოსულა: „ — მტერი შემოგვესია, მეფე ქუდზე კაცს უხმობსო!“

ლაშა იარაღსხმული მიადგა კოშკს, სადაც ლელა ცხოვრობდა. ამაოდ შეეცადნენ მეციხოვნენი ვაჟის შეჩერებას, ღონიერი მხრებით გარღვია ხმლებშემართული დამხვდურთა წრე და კოშკში შეიჭრა. თავზე დაადგა მამა-შვილს და განუცხადა, „ — ომში მივდივარ, გამოსამშვიდობებლად მოვედიო!“...

„ — მეც უნდა გამოგვეყო!“... — უკან დასდევნებია ლელა. თურმე ვერაფრით გადააფიქრებინა ვაჟმა. თანასოფლელებთან ერთად ლელაც ვაჟურად გადაცემული და იარაღ-ასხმული ეახლა მეფეს. „ — შენ აქ რა გინდა? ომი დიატა საქმე არ არის, წადი სახლში და შენს სახელთან, დაჭრილ მამას მოუარეო!“ — უთქვამს მეფეს.

„ — დიაცი ის იქნება, ვინც მტერს ზურგს უჩვენებსო!“ — გაჯიუტებულია გოგო...

ომი ქართველების გამარჯვებით დასრულებულა. ბრძოლის ველიდან, როცა დაჭრილები და დახოცილები გამოყავდათ, მკვდრებს შორის მკერდგანგმირული ლელა უპოვიათ, იქვე ახლოს კი მძიმედ დაჭრილი

ლაშა. დიდი პატივით დაუკრძალავთ მამაცი გოგონა (სწორედ ამ ფაქტზე გვიამბობს თაობიდან თაობაზე გადმოსული ამბავი გმირ ახმეტელ გოგონაზე, რომელიც შესულია წიგნში „ქართველი ქალები“).

მძიმედ დაჭრილი ლაშა თურმე აუტანელ ტკივილებს არ ეპუებოდა, ყოველდღე გამოდიოდა სახლიდან, ხან ერთ წყაროსთან ჩამოჯდებოდა, ხან მეორესთან და მღუმარედ გაჰყურებდა უსასრულობას.

არ გაუვლია დიდ ხანს და ვაჟი მიწის თხრას შესდგომია, ბლომად თიხა მიუგროვებია, თიხის გამო-საწვავი ქურაც მოუწყია და თიხის მიღების დამზადებას შესდგომია.

მიღების დამზადების შემდეგ, სოფლის ბოლოზე არხის გათხრა დაუწყია, „ — რის გაკეთებას აპირებ, კაცო, გვითხარი, ხელი შეგაშველოთ!“ — ემუდარებოდნენ სოფლელები, „ — მაღლობა, კეთილი ხალხო! ეს ჩემი გასაკეთებელია, პირობა მაქვს დადებული და ფიცს ნუ გამატყინებთო!...“

ჯერ ლელას უბნის წყარო გამოუყვანია სოფლის ბოლოსკენ, მერე თავის უბნიდან, თიხის მიღებით შეუერთებია ორივე წყარო და თიხისავე მღი გუჟღერებია ღარად, საიდანაც ყინულივით ციკმა და ანკარა წყარომ გადმოიქექა.

ნაიარევმა სხეულმა თურმე მძიმე ფიზიკურ შრომას ვეღარ გაუძლო და ვაჟი ლოგინად ჩავარდნილა, ციხე-ციხელება შეჭრია.

ერთ დღესაც ვაჟმა თანასოფლელები იხმო თავისთან, გაჭირვებით წამოჯდა საწოლზე: „ —



**ომარ მარუაშვილი**

# სასახლის დიასახლისი – ედინო საღახიძე...

სასახლე სტუმრებს ელოდება, მაგრამ იქ სევდიანი განწყობილებაა. რკინის დიდი ალაყაფის კარი ჩარახულია, თუმცა, შიგნიდან ჭიშკარს მომწყდარი უამრავი ადამიანის დანახვა შეიძლება. სასახლის მუსიკოსები – სიმებიანი კვარტეტი – ადამიანურ ტკივილებს ადგიძრავს. დიდი სახლის დიასახლისი, ირეალური, იქნებ ყველაზე რეალური და ამაღლებულ სამყაროში გადასული, ვერც კი გვაძინევს სტუმრებს... ალაყაფს უახლოვდება და თითქოს შემოგვიჩივის:

**„ლანდებს სასახლეში მხლოდ მაშინ ელი, როცა საუბარი ედგარ პოეზეა...“**

კითხულობს და მსმენელს ჟრუანტელი გვივლის.

იღება კარი და სტუმრები რეალურ თუ გამოგონილ პოეზიის სასახლეში ფეხაკრეფით შევდივართ...

გავიმხელთ, რომ ამ **სასახლეს „მუზა“**, ხოლო **დიასახლისი – ედინო საღახიძე** ჰქვია.


**„პოეზია ფოტოში“** – ასე ერქვა ფოტოგამოფენას, რომელიც მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“ მოეწყო, დამთვალიერებელი ალგვაფრთოვანა ფოტოხელოვან **დავით ქორიძის** და რეჟისორ **კახა შარტავას** მხატვრულმა ფოტოებმა. ყველა სურათზე დიდებული **მსახიობი ედინო საღახიძე**. იგი ფოტოებიდანაც გალაკტიონით გვესაუბრება.

ამ ფოტოსურათებზე შეხვედებით ცხენზე ამხედრებულ,

თუ მთის მწვერვალზე, ცასთან მიახლოების სურვილით შეპყრობილ მსახიობ ქალს. ლამფასთან, სატრფოს მოლოდინით დადლილ, თუ „დადლილი ატმის რტოთი“ შეწუხებულ მგრძნობიარე არსებას. ყველა ფოტოს ძალზედ მიგნებული, უფრო სწორად, ზედგამოჭრილი სტრიქონები აქვს წამმდვარებული გალაკტიონის პოეზიიდან, რაც არცერთ დამთვალიერებელს არ ტოვებს გულგრილს...

„პოეზია ფოტოში“, ეს არის ნოვაცია, რომელსაც ალბათ გააგრძელებს, დავით ქორიძე და ამ უჩვეულო ხერხით კიდევ არაერთ საინტერესო პოეტს შეგვახვედრებს.

**მარინე თაქთუაანიძე**



## გვიან გამოცხვარი ოზლის კვირის წესითა და რიგით

**დასწყევლი გარიჟრაჟს, მე შენი დაკარგვა წლების წინ ვიგლოგე, ნიაფი მთებისა მტყეოდა სამძიმარს“.**

ამ ლექსებსაც სიმღერებად მოისმენთ უკვე სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლის შესრულებით. ამ ამოთქმულებისა და კიდევ სხვა, ამ წიგნში წარმოდგენილი მშვენიერი ლექსების ავტორი კი – 1995 წელს ილტოს ხეობის შახვეტილას თემის სოფელ ჭართალაში დაბადებული, ბალღობიდან ოზლობაში გაზრდილი და ამჟამად ახმეტაში მცხოვრები **ელგუჯა უძილაური**ა...

ჰოდა, **იოსებ ლონგიშვილის „შატილის ასულოსავით“** იმასაც რომ არ მოჰპარონ ეს ჩემგან დამოწმებული ან კიდევ სხვა კარგი ამოთქმულები, მოდით, ყველგან გაემიეროთ ხოლმე, – ელგუჯამ დაწერა ეს ლექსები, ელგუჯა უძილაურიმაო...

როგორ თუ ელგუჯა უძილაური-მაო? – რომ იკითხავენ, უნდა მიუვუგოთ:

როგორ და, ისეო, რომ უკვე წიგნდაც არის დაბეჭდილიო...

არადა, რამდენი ხანი ოცნებობდა თავის წიგნზე, რადგან მისი ლექსები მხოლოდ საახლოლოს ვიწრო წრისთვის თუ იყო აქამდე ხელმისაწვდომი.

ამიერიდან კი, გვიან გამოცხვარი ოზლის კვირის წესითა და რიგით, პოეტი უძილაური დღეისა თუ მომავლის მკითხველთა ფართო და უშეღავათო სამსჯავროს ამ წიგნით წარუდგება, რისთვისაც გამომცემლობა „პალიტრის“ მესვეურებს ეკუთვნის სამადლობელი თუ საკარგემო...

ჰოდა, მოდით, მკითხველის გულისკენ მიმავალი გზა დაუულოცოთ ამ პატარა კრებულს.

**მისო მოსულიშვილი**

**აყვავებულა არაბგზე დეკა, ნისლი მიცურავს მთა-მთა, სევდა მასწავლე, ფშაგლის ასულო, ემაგ თაფლისფერ თვალთა.**

**ციხეგორობას სტუმრად მოგიგალო, არ მაიოცება, ნეტა? შენი ალერსი მწადაო, ქალო, ყოფნა მწადაო შენთან.**

**ამ ქარაფებს და კლდოვან ბილიკებს რაისად სთელავ კენტად? მოდი, ვიქნები შენი წაწალი, მთები დაგლანთო ერთად.**

**და თუ შენ ვამო, ფშაგლის ასულო, შენ მამათ შემაჭრან ხმაღზე, ნეტა მანახა, როგორ მიტირებ გლოვის სევდიან ხმაზე!**

**შატილის ცასავით ღურჯი ბაქშს ოვალეპი**

**შატილის ცასავით ღურჯი გაქქს თვალეპი, მშვენიებით მაგონებ სალი კლდის აგაზას, მაგ სილამაზისთვის გწყევილიან ქალეპი, გაუები ჰკოცნიან შენს საგალ შარაგ ზას.**

**რამდენჯერ გვედრე ლაშარს და კობალას, კვლავ დამბარუნებდენ აბრიღებს გაფრენილს, შორს გაგიტაცებდი ცელქსა და ღურჯთვალას, შენს დაღალს ვნახავდი ჩემს მკლაგზე დაფენილს.**

**კვლავ ნულარ შემხვდები, მერიდე, ქალბნელო, კაცი არ მაცდუნო მაგ თვალთა მშვენიებით,**

**შევცდები, შეგტაცებ პერანგის საყელოს, მთებს გადაგატარებ ღურჯაის ჭენებით.**

**და როგორც ყაჩაღი, არწიგთა საბუდარს მიგაღ და გაგხვდები სალი კლდის ხიზანი, შურთებთან დაგმალავ საცოლეს ნაქურდალს, უშენოდ სიცოცხლეს არა აქვს მიზანი.**

**ღმერთო, უენ დალოცე**

**ღმერთო შენ დალოცე შუაფსო, ჩარგალი, ფშაგლების ღრეობა, ცხენების ჭენება, ღამე რომ იციან მგლებიგით წანწალი, საბძელში თავნება წაწლების ფრეობა.**

**ლექსებში ფშაგელ კაცს ვინა ჰყავ ბადალი, ჩონგურზე სიმღერით იციან თენება, ხონჩაზე იციან ცხელ-ცხელი ხინკალი და პანტის არაყით კობალას ხსენება.**

**თუ მტერი დაღანდეს, იარაღს ისხამენ, სალი კლდის ვეფხვებად ჩნდებიან ფშაგლები, ჯისგების ხოროებს ფუნდაფუნ მისდევენ, ფრიალო კლდეებზე ღმერთი ჰყავთ თავდები.**

**ნისლის დაგ, მე შენზე ფიქრები მწაამებს, ისმინე, მთვარისაგ, ეს ჩემი გედრება, ქალაქს ნუ წაიღებ ყორნისფერ დაღალეებს, მთებს უფრო უხდება მაგ თვალთა მშვენიება.**



რაკი ყველანი ვერ მივწლომვართ, ნურავის გვეგონება, სევდა ავი და ზადიანი რამეაო, მით უმეტეს, როცა მთების დიდ და მიუწვლომელ სევდაზეა ლაპარაკი, – აი, რომ ღვანან და მოელიან, როგორც **ვაჟა-ფშაველამ** დაგვიბარა; თანაც როგორც ჩანს, სწორედ მაგ სევდის გამო არის, მთებს რომ უნახავის დანახვა შეუძლიათ...

სწორედ ეს მიუწვლომელი და მელოდიური სევდა დაჰყვება **ელგუჯა უძილაურის** ლექსებსაც...

**„შატილის ცასავით ღურჯი გაქქს თვალეპი, მშვენიებით მოჰგვეზარ სალი კლდის აგაზას...“** –

ეს ლექსი უკვე საქვეწოდ ცნობილ სიმღერად იქცა, რასაც თავის ხევისურულ ფანდურზე მშვენიერად იმღერის შატილში

მცხოვრები **გელა დაიაურიც** – თავადაც პოეტი და იქაური სკოლის დირექტორი...

**„აყვავებულა არაბგზე დეკა, ნისლი მიცურავს მთა-მთა, სევდა მასწავლე, ფშაგლის ასულო, ემაგ თაფლისფერ თვალთა...!“**

\*\*\*

**„ღმერთო, შენ დალოცე შუაფსო, ჩარგალი, ფშაგლების ღრეობა, ცხენების ჭენება...“**

\*\*\*



**„ნურცა რას მკითხავ და ნურცა რას მიამბობ, შენ ჩემი ცხოვრების“**

მეფოთვარა სულის პოეტი

„წუთისოფლის გზა - შარაზე“ შოთა მარუქაშვილის ლექსების პირველი კრებულია. მასში შესულია ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე შექმნილი ლექსები, რომელთა უმეტესობაც თანამედროვე აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება. ამ ლექსებში გამოხატულია ფშაველი კაცის ფიქრი ჩვენს მდევარე და შფოთიან დროზე, დედა სამშობლოს სიყვარულზე, მის აწმყოსა და მომავალზე. იმედები, ოცნებები, სიხარული და სევდა ერთნაირი გრძობით არის თავმოყრილი მამულის უზომოდ შეყვარებული მთიელი კაცის გულში და ძალუმი ცეცხლით სწავის მის მშფოთვარე სულს.

ბუნებით შემოქმედი ჭადარა კაცი ჭაბუკური შემართებით უძღერის დედა სამშობლოს გმირულ წარსულს, სახელოვან წინაპართა ვაჟკაცობას და მამაცობას, სამშობლოსადმი ერთგულებასა და თავდადებას, ხატოვნად არის გამჟღავნებული სიყვარულისა და მეგობრობის მარად უბერებელი გრძობები.

მის ლექსებში უმეტესწილად სევდაც რომ გამოსჭვივოს, არც ეს არის გასაკვირი, ეს ყოველივე გამოწვეულია მთის სოფლების დაცარიელებით, უპატრონოდ მიტოვებული და ნანგრევებად ქცეული სახლებით, მთათა ულამაზესი მინდამოების გაუკაცრიელებით, იმ მდიდარი, ტრადიციული და ძირძველი ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების შებღალავითა და მივიწყებით, რასაც



ჩვენდა სამწუხაროდ, შეგნებულად უწყობს ხელს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გარედან შემოჭრილ-შემოტანილი ანტიქართული, ანტი-ეროვნული ყოფისა და ქცევის წესები, რაც ესოდენ უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობების სულიერ, მორალურ და ზნეობრივ ფორმირებაზე. გული შესტკივა, რომ დღევანდელი ხელისუფალნი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ადამიანის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულიერ წრთობას, რაც ღრმა უფსკრულს აჩენს წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან. ერი და ქვეყანა როცა წარსულს ივიწყებს, როცა ფესვებს სწყდება, სწორედ მაშინ ექმნება საფრთხე ქართველი კაცისთვის ყველაზე ღირებულსა და ფასიულს მამა - პაპათა ანდერძისა და ტრადიციების ერთგულებას.

სწორედ ამიტომ არის, რომ ავტორი, როგორც ცოცხალ ადამიანებს, ისე ესაუბრება ილტოს ხეობაზე დღემდე შემორჩენილ ციხე - კოშკების, ეკლესია - მონასტრების და ხატ - სალოცავების ნაშთებსა და ნანგრევებს.

აღსანიშნავია, რომ ავტორი მარტო ლექსებით კი არ ეხმინება დღევანდელი დუნჯირი ცხოვრების რეალობას, დღენადავ საკუთარი მარჯვენითა და მამობილიზებული სიტყვით მხარში უდგა თანასოფლელებს და არა მარტო მათ, სადაც კი ხელი და სიტყვა მიუწვდება, მონდომებას არ იშურებს მოძმეთა მხარდასაჭერად. საკუთარი მარჯვენითა და ალალი შრომით უძღვება ოჯახს. შოთა მარუქაშვილის ლექსები და კავიები ორთულულ წელზე მეტია სწორად იბეჭდება რაიონულ პრესაში.

პროლოგი თუ ეპილოგი?..

(მკითხველთა გასაგონად)

მე თუ ჩემ ლექსებს განუქებ შენ სიყვარული მანუქე, გამიხალისე ეს გული იმედით გამიჭაბუკე.

თუკი არაფერს არ მიშველ არ მოგაღ —

არ შეგაწუხებ, — რასაც ორივე დაგპარავთ — მოგა დრო და შეგაწუხებს. გარდასულ დროზე ფიქრები გულზე

მიჭერენ მარწუხებს, — რაიც ადრევე მტანჯავდა — დღესაც იგივე მაწუხებს, არსაიდან ჩან საშველი — ან წამალს ვინ რას მანუქებს.

უკვე დაგპარავ იმედი გრძობებებს

გერ ვაძლევე პასუხებს, — მოგკვდები გაუნხარდება — ჭიას მიწისქვეშ ნასუქებს, დედა გუტირე პატრონის — არც მე მაჭმევდენ

ნაწუქებს, — ჭია კი მაინც მაჯობებს. ჩემ ლექსით მე გაგასუქებ... უკვალოდ კი არ გაგქრები. აქ ვტოვებ

ყოფივით ბიჭებს, წუთისოფელში ჭკვიანად გასთვლიან თავის ნაბიჯებს. მამას რა მსურდა

შვილთათვის — გზად იბოვნიან პასუხებს, თუ რა ვიყავი ამქვეყნიად — იმას კი დრო გააშუქებს!

პირიგზის ყვავილი

ტყის პირს შემომხვდა ყვავილი და შემომცინა პირითა,

მეგონა ტურფა ასული — მორთული საყურ-მძივითა.

მივედ და მიგუბლერსე — აქ როგორ განნდი ლამაზო,

შენ ხომ არა ხარ ის ტურფა — ტრფობის ისარ რომ დამასო,

ერთხელ მაკოცა, წავიდა, — გაუყვა გაყრის შარასო, —

სახსოვრად შემომატოცა — მეც არ ვიფიქვებ ამასო.

როგორ ამოხვედ მიწიდან — რა გაძლევეს ამის ძალასო,

ბუნებამ თუ გამოგზავნა — სიცოცხლე გაგვიღამაზო.

გადამავიწყდა დარდები შენ ნახვამ ღვინით ამავსო,

თვალწინ დამიღვა —

ლალი დრო სსოვნა

ცრემლით რომ ნამავსო.

მე კი გელარა გყვავილობ — სიბერე მოგა, დამაჭკობს,

შენ ისევ მოხვალ აპრილში — ახალ სიცოცხლეს

განავრძობ, — მე გელარ მოვალ მეორედ, —

და თუ რამ ქვეყნიად ვიარე — ისაც ღვთის ძალით ვიცოცხლე.

მე სიღამაზეს ვეტრფოდი, გულს ვინარებდი ამითა, —

წავალ და ისე გაგქრები — როგორც სიზმარი ღამისა, —

შენ კი ისარე ლამაზო სიცოცხლით სიღამაზისა.

რაც ბინდა დაიბვიანო...

(სიმღერა გაზაფხულზე)

ზამთარი მიდის, ბობოქობს უნდა გგინგინოს ძალები,

შემოგვიტა წასვლისას, თოვლით, წვიმებით, ქარებით,

მაგრამ ძალ-ღონე ელევა, ჩამოუთხვლდა ძალები,

მზემ ცაზე შემომიძალდა გამონათა თვალები,

უნდა გადგენოს ზამთარი ხნიგები სტყორცნა ძალები,

პირველი მახარობლები, — მოსულან ყონივარდები,

ისე კეკლუცად მონანან ვით ქალის ხელში გარდები.

მივალ და გეაღერსები, — რად-რა ხართ ეგრე კარგები!

როცა თქვენ გხვდავთ, მგონია ბაღლი ვარ, არა ვბერდები,

რა გქნა რომ მთებში თოვლია გნატრობ და მოგვლოდები,

წავა, გაივლის ზამთარი მოხვალ და მოგვიპოვდები,

აყვავილდება მიდამო, ფარჩებს დაიფენს კორდები,

შენა ხარ სულის ჩამდგემლი, იჩქარე, ნუ დაყოვნდები.

ვიცი, რომ უნდა გელოდო, არ გაგცე გულის დარდები,

რაც ვინდა დაიგვიანო მით უფრო შემეყვარდები.

იპ

ის სურნელმა დამათრო ამ გაზაფხულის დილასა,

გაგნდე — თვალის შეგასწარ ამოსულს ბუნქის ძირასა, —

მაღლი ღმერთს კიდევ მოგესწარ კეკლუცსა — პირმოცინარსა, —

გადარჩენია სიკვდილისა,

ზამთარს, თოვლსა და ყინვასა. გამახალისა ლამაზმა და ღმერთს

კვლავ შეგთხოვ იმასა — მუდამ სიღალემეც ამკობდეს სიცოცხლეს მოუწყინარსა. როცა გულია მოლხენით, გატარებს პირმოცინარსა. ნიდაგ სიკვდილი სჯობავ, სიცოცხლეს გაუცინარსა!

ნეტავ, რაისად შეიმოხვდი

(ამ ცოტა წინს წინათ უკრანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებიდან).

ნეტავ, რაისად შეიმოხვდი, გამეხსნა გულის იარა.

ტრფობის ისარმა დაძკოდა, დამაჭკნო, დამაზიანა.

ისევე გაღვივდა ის ცეცხლი, — ჭაბუკს გულზე რომ შეაღა,

მე კი მეგონა: გათავდა, დამიშრა ტრფობის ფიალა.

ვინა თქვა: გული ბერდება, ჭორი ვინ გაახშიანა,

გული ისევე ჭაბუკობს წლებმა გერ დააჭკვიანა.

მცირე წინთ შეგნვდი, ლამაზო, შენ ხილვამ გამამზიანა,

გამითბო გულის ძარღვები, — სინარულს დამაზიანა.

მაგრამ, ვაი რომ ვერ შეგძელ ენა დაწლუნგდა ტიალი,

გული რომ გადამიშალე, გერ გაგთქვი ჩემი ტრფიადი.

ფიქრები ერთურთს დაემთხვა, თითქოს გვექონიყოს ზიარი,

ვერ მოგვც გულის მალამო, ვერც რჩევა გითხარ ჭკვიანი,

შეყრის გზამ ისევე გაგყვარა, თვალები დაგვრჩა წყლიანი, ალბათ ვერასდროს შეგნვდებით,

დაიწვას ბედის ტრიალი. ნეტავ, რაისად შეიმოხვდი, მკურნალი მექენ გვიანი,

გამეხსნა ძველი იარა, გამწირე გულნადგლიანი.

ოცნებით ისევე მანდა ვარ, თვალთ მიდგა შენი ხატება,

გაოცებული დაგდიგარ, არ ვიცი, ჩემში რა ხდება.

ცნობრება გამოცანაა, ბედი, ვის, როგორ შახვდება,

ზოგს ენატრება სიკეთე ზოგი ამითაც წახდება.

ასე ყოფილა სიცოცხლე, — რაც გგინდა, ისე არ ხდება,

ნანახი ტკბილი სიზმარი ნეტავ როდისღა ახდება?!

კაფია საკუთარ თავზე

შენ ჩემო თხო რად ბლექავ, სახმელს ვერ იტან აკით?!

დალევე და ავად გახდები არ გესმის ლამარაკით!

დაუძახოდი ლოთებსა, — კუჭებ არა აქვთ „ბრაკით“,

ყოველ დღე მოგაკითხავენ, შავგულელებენ რაკით; —

პირწმინდად გამასწრუტავენ, აღარ დარჩება ყლაპით.

მაგათ რა გახდის ავად; შიგ რთ ყრიოს შაბით

ვერც მაიშორებ ძალითა, თუნდა ხელი ხერა — წადით!

ემაგდენ უნდა დალიონ, ჩამაიდორბლონ

ყბებით; შენ რა ჩემფენებ

კაცი ხარ; დალევე, მერე კი ჰკვდებით!

ლამარა ჩინჩალაქი

\*\*\*  
საქართველოს ზეცაგ,  
საქართველოს მთებო,  
დმერთთან მოსაუბრე  
უტყვო წინაბრებო,  
მდინარეგ და ტბებო,  
ზღვაგ ზურმუხტის ფერო  
მწვანედ მოხასხასე  
გვლებო და მდელო!  
მომხედურად თუ მოყვრად  
მოსეულმა მტერმა  
გერ შეიძლოს თქვენი მიტაცება,  
გნება!  
საქართველოს ზეცაგ,  
საქართველოს მთებო,  
ზღვაგ, მდინარეგ, ტბებო,  
ნაკრძალ სამოთხენო,  
ქართულ სინამდვილის  
ნაწილ-მთლიანებო!  
ღვთის შეწევნით მტერმა  
გერ გიცვალოთ სახე!  
ღვთის შეწევნით გლეწოთ  
ბოროტ სულთა მახე!

გილოცავთ დაბადების დღეს!

თვალსაჩინო მწერალს –  
მაკა ჯოსაძეს

\*  
თვალსაჩინო მწერალს, ჟურნალ  
„ცისკრის“ სარედაქციო საბჭოს  
თავმჯდომარეს –  
ნოდარ  
ბრიბალაშვილს

\*  
თვალსაჩინო პოეტს და  
კრიტიკოსს –  
თიმურ შავლაძეს

თვალსაჩინო პოეტის გორა  
ზარანაულის ტყუბებს –  
მათის

და  
ლილეს

\*  
მხატვარ  
თეა ბოტკოველს

\*  
საქართველოს პროფკავშირების  
თავმჯდომარის მოადგილეს –  
მთერ მათურაძეს

ჩინებულ მოხევეს –  
მაგული კობაძეს

\*  
ფშავლის მკვიდრს –  
ბია აბრამიშვილს

\*  
ზოია,  
ანზორ  
და  
ნატო

\*  
ჯაჭვამებს  
\*  
ახალგაზრდა იურისტს  
ადა ბელოძეს



კატარა მემოზრები: ანა-მარია ბანსილია და ნიკა კილაძე

ერთი დღე საქართველოს ჟურნალისტთა  
შემოქმედებით კავშირში

ახლანა საქართველოს ჟურნალისტთა  
შემოქმედებით კავშირში, მისი თავმჯდომარის  
ჰამლეტ გეგას თაოსნობით საზეიმო ვითარე-  
ბაში აღინიშნა ქართული ჟურნალისტიკის  
დღე.

აღსანიშნავია ის, რომ სხვადასხვა  
მრავალფეროვან ღონისძიებასთან ერთად  
ბევრი ღირსეული და ამაგდარი ჟურნალისტი  
დაჯილდოვდა სხვადასხვა სახის საპატიო  
სიგელით. ტელეეთერში საბრძოლო მოვ-  
ლენების ამსახველი პუბლიკაციებისათვის,  
ქართულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი  
მოღვაწეობისათვის, დიპლომებით „ქართულ  
ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი  
მნიშვნელოვანი წვლილისათვის“ – გურამ

გოგიაშვილი, ალექო ასლანიშვილი, სპარტაკ  
ქობულაია, ნოდარ ტაბიძე, ლალი კობახიძე,  
მზია კობერიძე, ნანული ბუკია, გუბაზ სანი-  
კიძე, იზა ჯაჭვამე და სხვ.

იმ დღეს კოლეგებმა ასევე გულთბილად  
მიულოცეს ჟურნალისტიკის დღე ჟურ-  
ნალ „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემელს  
სერგი კაკალაშვილს და ამავე ჟურნალის  
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეს ნოდარ  
გრიგალაშვილს „ცისკრისთვის“ შთაბერილი  
ახალი სიცოცხლისათვის და წარმატებები  
უსურვეს მათ.

ეს შთამბეჭდავი, მნიშვნელოვანი და  
სასიხარულო დღე დიდხანს ემახსოვრებათ  
ღონისძიებაში მონაწილე ჟურნალისტებს.

სსოჰნა



ნელი მუდამჟამს სითბოს გა-  
მოსცემდა. იყო, კარგი მეუღლე და  
დედა. ფშავლის საშუალო სკოლის  
დამთავრების შემდეგ ცოლად გაჰყვა  
თანაკლასელ ლეჩურელ ფშაველს  
შოთა არჩემაშვილს, რომელიც გამო-  
ირჩეოდა ნიჭიერებით, ლექს-კაფიო-  
ბით, სიმამაცით და სპორტისადმი უს-  
აზღვრო სიყვარულით. იგი ფშავლის  
ფოსტის გამგედ მუშაობდა, მაგრამ  
ნაადრევედ, სრულად ახალგაზრდა

ნელი ამირაჯანი და შოთა არჩემაშვილი

განერიდა წუთისოფელს.  
ცალუღელად დარჩენილი ნელი  
თავს დაჰფოფინებდა ორ ქალიშვილს:  
ეკას და მარინას... მერე კი, ისიც  
მეუღლის სამსახურში ჩადგა, სიცო-  
ცხლის ბოლომდე ფოსტის გამგედ  
მუშაობდა ფშაველში.

მათ სამაგალითო ოჯახს ახლო-  
ბელთა სიყვარული და თანადგომა  
არ აკლდა, რადგანაც თავადვე იყვნენ  
ყველას გვერდში მდგომნი, მათი  
სიხარულისა და ტკივილის გამზი-  
არებელნი.

ახლა უკვე ოჯახის ბურჯი –  
ნელი ამირაჯანიც გამოეცალა ოჯახს  
ხელიდან. იგი ხანგრძლივი ავადმყო-  
ფობის, ჯოჯოხეთური დარღვისა და  
ტკივილების შემდეგ, მარადიული  
ქვეყნის ბინადარი გახდა. სპეტიკი  
სინდის-ნამუსით მოსილი ეახლა  
ნანატრ მეუღლეს, მშობლებს, ძმას...

ახლა იმ ქვეყნად მისვლის ჟამი  
დადგა... არა მარტო შენმა ლამაზმა  
და ღირსეულმა ოჯახმა, ფშაველმაც  
დაკარგა კარგი ქალი, კარგი ადა-  
მიანი, რადგან შენნაირი მეოჯახე  
ქალების ნაადრევი გარდაცვალება



დიდი ტრაგედიაა, ყველაზე მე-  
ტად შენი შვილებისთვის: ახლად  
დაქვრივებული შენი მარინასათვის...  
შენი სამი შვილიშვილისთვის, ნათე-  
საყვებისთვის...

მაგრამ რა ეშველება სრულიად  
უშწოდ და უპატრონოდ დარჩენილ  
შენს ეკას, ნელი?..

რენო ჯაჭვამე,  
თანაკლასელი



გაზეთ „კავკასიის“ რედაქცია  
სამძიმარს უცხადებს ამავე გაზე-  
თის სარედაქციო საბჭოს წევრის  
- ბატონ კობა ბურჯეურის ოჯახს,  
მის დებს – ასმათ რიჟამაძეს,  
ნელი და როზა ბურჯეურებს  
დედის  
ნინო კობაძე-ბურჯეურის  
გარდაცვალების გამო.

იზა ჯაჭვამე, მაყვალა გონაშ-  
ვილი, კობა არაბული, ბალათერ  
არაბული და ივანე წიკლაური  
სამძიმარს უცხადებენ ბატონ კობა  
ბურჯეურს  
დედის  
ნინო კობაძე-ბურჯეურის  
გარდაცვალების გამო.

	<p>დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი</p> <p><b>იზა ჯაჭვამე</b></p>	<p>რედაქტორი ლაშა-გიორგი პრაპიშვილი</p> <p>რედაქტორის მოადგილე ლიანა ბიბიაძე</p>	<p>სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, კობა ბურჯეური, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილიძე, ლევან ცალუღელაშვილი, მარინე თეჭუაშვილი, ნატა ბორჩაშვილი, ლილა არჩემაშვილი, გულო კობიაშვილი, ომარ მარუქაშვილი, გოჩა ხარანაული.</p> <p>ბაჰათი არ ხამონბაძეს არც ერთი კოლეგისა და პატრონის ინტერესს, ავტორები თავად ამაღან კასუს, მასალაში შეტანილი ფაქტების სისწორეში, ავტორთა მოსაზრებაში შესაძლოა არ ეთანხმებოდნენ რედაქციის კოორდინატორს ბაჰათიან მასალის გადამამოწმებელ რედაქციისთან შემთხვევითად დაუშვებელს</p>	<p>მისამართი: კოსტავას ქ.№14 ტელე: 52-16-38 899-79-76-13</p> <p>დაკავშირების კობა ბელოძის ფონის ცენტრში www.bedoidze.site.ge</p>
--	---	--	--	--